| 3. ბორჯომის " " | 1 | 52–50 | 1 | 52–50 | 1 | 52–50 | 1 | 38–50 | 1 | 109 | — | — | 1 | 60 | — | — |
| 4. ზესტაფონის " " | — | — | 1 | 52–50 | 1 | 52–50 | 1 | 38–50 | 1 | 109 | — | — | 1 | 60 | — | — |
| 5. სამტრედიის " " | — | — | — | — | 1 | 52–50 | 2 | 38–50 | 1 | 109 | 1 | — | 1 | 60 | 1 | — |
| 6. [illegible] " " | — | — | — | — | 1 | 52–50 | 1 | 38–50 | 1 | 109 | 1 | — | 1 | 60 | 1 | — |
| 7. ზუგდიდის " " | 1 | 52–50 | 1 | 52–50 | 1 | 52–50 | 2 | 38–50 | 1 | 109 | — | — | 1 | 60 | — | — |
| 8. გაგრის " " | 1 | 52–50 | — | — | 1 | 52–50 | 1 | 38–50 | 1 | 109 | 1 | — | 1 | 60 | — | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ქალაქები | სა. კომ. | | სახალხო განათლების განყოფილება | | | | | | ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება | | | | | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კომისიის თავმჯდომარე | | განყოფილების გამგე | | სასკოლო ინსპექტორი | | ბუღალტერი | | განყოფილების გამგე | | ექიმი-ინსპექტორი | | ბუღალტერი | | შტატი | ხელფასების თვიური ფონდი |
| | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | | |
| | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 |
| 1. თელავის ქალაქის საბჭო | 1 | 79 | 1 | 79 | 1 | — | 1 | 60 | — | — | — | — | — | — | 22 | 1245—50 |
| 2. კასპის „ „ | 1 | 79 | — | — | — | — | — | — | 1 | 79 | 1 | — | — | — | 21 | 1242 |
| 3. ბორჯომის „ „ | 1 | 79 | 1 | 79 | 1 | — | — | — | 1 | 79 | 1 | — | — | — | 24 | 1422 |
| 4. ზესტაფონის „ „ | 1 | 79 | 1 | 79 | 1 | — | 1 | 60 | 1 | 79 | 1 | — | 1 | 60 | 25 | 1434—50 |
| 5. სამტრედიის „ „ | 1 | 79 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 21 | 1142—50 |
| 6. წყალტუბოს „ „ | 1 | 79 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 19 | 1068 |
| 7. ზუგდიდის „ „ | 1 | 79 | 1 | 79 | 1 | — | — | — | 1 | 79 | 1 | — | — | — | 25 | 1394 |
| 8. გაგრის „ „ | 1 | 79 | — | — | — | — | — | — | 1 | 79 | 1 | — | 1 | 60 | 24 | 1390—50 |

| ქალაქები | აღმასკომის აპარატი | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აღმასკომის თავმჯდომარე | | აღმასკომის მდივანი | | არქიტექტ-ორი-(ინჟინერ) ინსპექტ. | | ს. თ. შტაბის უფროსი | | უფროსი ბუღალტერი | | ბუღალტერი | | საერთო განყოფილების გამგე | |
| | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 9. ოჩამჩირის " " | 1 | 130 | 1 | 78 | 1 | 88 | — | — | 1 | 60 | 1 | 50 | 1 | 55 |
| 10. ქობულეთის " " | 1 | 130 | 1 | 78 | 1 | 88 | — | — | 1 | 60 | 1 | 50 | 1 | 55 |
| 11. ტყიბულის " " | 1 | 130 | 1 | 78 | 1 | 88 | 1 | 95 | 1 | 60 | 1 | 50 | 1 | 55 |
| 12. საგარეჯოს " " | 1 | 130 | 1 | 78 | 1 | 88 | — | — | 1 | 60 | 1 | 50 | 1 | 55 |
| სულ: | 12 | 1560 | 12 | 936 | 12 | 1056 | 4 | 380 | 12 | 720 | 9 | 450 | 12 | 660 |
| 13. მარნეულის სამრეწველო რაიონი | 1 | 180 | 1 | 60 | 1 | 88 | 1 | 70 | 1 | 60 | 1 | 50 | 1 | 55 |
| | 13 | 1740 | 13 | 1005 | 13 | 1144 | 5 | 450 | 13 | 780 | 10 | 500 | 13 | 715 |

| | აღმასკომის აპარატი | | | | | | | | | | სოცუზრუნველყოფის განყოფილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საქმის მწარმოებელი-მეანქანე | | მდივანი-მემანქანე | | მბაჩის ბიუროს გამგე | | დამლაგებელი-ცეცხლფარეში | | დარაჯი | | განყოფილების გამგე | | უფროსი ინსპექტორი | |
| | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. |
| | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 9. ოჩამჩირის „ „ | 1 | 36 | — | — | 1 | 50 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 65 | 1 | 57 |
| 10. ქობულეთის „ „ | 1 | 36 | — | — | 1 | 50 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 65 | 1 | 57 |
| 11. ტყიბულის „ „ | 1 | 26 | 1 | 36 | 1 | 50 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 65 | 1 | 57 |
| 12. საგარეჯოს „ „ | 1 | 36 | 1 | 36 | 1 | 50 | 2 | 30 | 1 | 30 | 1 | 65 | 1 | 57 |
| სულ: | 12 | 432 | 8 | 288 | 12 | 600 | 13 | 390 | 12 | 360 | 12 | 780 | 12 | 684 |
| 13. მარნეულის სამრეწველო რაიონი | 1 | 36 | — | — | 1 | 50 | 1 | 30 | 1 | 30 | 1 | 60 | 1 | 52–50 |
| ჯამი: | 13 | 468 | 8 | 288 | 13 | 650 | 14 | 420 | 13 | 390 | 13 | 840 | 13 | 736–50 |



ცხრ. 49

| ქალაქები | სოცუზრუნველყოფის განყოფილება | | | | | | | | კულტურულ-საგანმანათლ. და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულ. განყოფილება | | | | | | [illegible] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინსპექტორი | | მოავალმხულიან და მარტოხ. დედებ. დახმარ. ინსპექტ. | | უფროსი ბუღალტერი | | უფროსი მთანგარიშე | | განყოფილების გამგე-თავმჯდომარის მოადგ. | | სასკოლო ინსპექტორი | | კულტდაწესებულებათა ინსპექტორი | | | |
| | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. |
| | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 |
| 9. ოჩამჩირის „ „ | — | — | — | — | 1 | 52—50 | 1 | 38—50 | 1 | 109 | 1 | — | 1 | 60 | 1 | — |
| 10. ქობულეთის „ „ | — | — | 1 | 52—50 | 1 | 52—50 | 1 | 38 50 | 1 | 109 | 1 | — | 1 | 60 | — | — |
| 11. ტყიბულის „ „ | 1 | 52—50 | — | — | 1 | 52—50 | 8 | 38—50 | 1 | 109 | — | — | 1 | 60 | — | — |
| 12. საგარეჯოს „ „ | — | — | — | — | 1 | 52—50 | — | — | 1 | 109 | 1 | — | 1 | 60 | 1 | — |
| სულ: | 5 | 262—50 | 4 | 210 | 12 | 630 | 15 | 577—50 | 12 | 1308 | 7 | — | 12 | 720 | 5 | — |
| 13. მარნეულის სამრეწველო რაიონი | — | — | 1 | 48—50 | 1 | 44 | — | — | 1 | 130 | 1 | — | 1 | 60 | 1 | — |
| ჯამი | 5 | 262—50 | 5 | 258—50 | 13 | 674 | 15 | 577—50 | 13 | 1438 | 8 | — | 13 | 780 | 6 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ქალაქები | სტ. კომ. | | სახალხო განათლების განყოფილება | | | | | | ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება | | | | | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კომისიის თავმჯდომარე | | განყოფილების გამგე | | სასკოლო ინსპექტორი | | ბუღალტერი | | განყოფილების გამგე | | ექიმი-ინსპექტორი | | ბუღალტერი | | შტატი | ხელფასის თვიური ფონდი |
| | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | ერთ. | განაკ. | | |
| | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 |
| 9. ოჩამჩირის " " | 1 | 79 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 19 | 1068 |
| 10. ქობულეთის " " | 1 | 79 | — | — | — | — | — | — | 1 | 79 | 1 | — | 1 | 60 | 22 | 1259–50 |
| 11. ტყიბულის " " | 1 | 79 | 1 | 79 | 1 | — | 1 | 60 | 1 | 79 | 1 | — | 1 | 60 | 28 | 1606–50 |
| 12. საგარეჯოს " " | 1 | 79 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 20 | 1095–50 |
| სულ: | 12 | 948 | 5 | 395 | 5 | — | 3 | 180 | 7 | 553 | 7 | — | 4 | 240 | 270 | 15358–50 |
| 13. მარნეულის სამრეწველო რაიონი | 1 | 69 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 20 | 1182 |
| ჯამი: | 13 | 1017 | 5 | 395 | 5 | — | 3 | 180 | 7 | 553 | 7 | — | 4 | 240 | 290 | 16540–50 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა:** ალმასკომის თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების, ალმასკომის მდივნების, საგეგმო კომისიის თავმჯდომარეების, განყოფილებათა გამგეებისა და სხვა მუშაკების თანამდებობრივი განაკვეთები დაწესებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1963 წლის 8 თებერვლის № 13-207 წერილის შესაბამისად.

სკოლის ინსპექტორებს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 29 აპრილის № 923 და სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 10 მარტის № 295 დადგენილების შესაბამისად.

ექიმ-ინსპექტორებს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12 აგვისტოს № 14-55 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

**50** **სარკინიგზო საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე იმ ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ, რომელთა დადება ადმინისტრაციული წესით წარმოებს**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 იანვრის № 5 დადგენილება „სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე იმ ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ, რომელთა დადება ადმინისტრაციული წესით წარმოებს" დაევალოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ამიერკავკასიის რკინიგზის გადასასვლელებზე მატარებლებისა და ავტოსაჰაპანო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების ზომების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 3 ნოემბრის № 1473 დადგენილების მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „ბ" ადმინისტრაციული ჯარიმების დადების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირცხაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 27 თებერვალი, № 133

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

**1963 წლის 2 იანვარი**

მოსკოვი, კრემლი

## სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე იმ ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ, რომელთა დადება ადმინისტრაციული წესით წარმოებს

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებისა „იმ ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ, რომელთა დადება ადმინისტრაციული წესით წარმოებს", სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ჯარიმები, რომლებსაც სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ორგანოები ადებენ ადმინისტრაციული წესით შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დარღვეულია ტრანსპორტის საშუალებათა სარგებლობის წესები, მოძრაობის უსაფრთხობის დაცვის წესები, აგრეთვე სახანძრო უშიშროების წესები და სანიტარული წესები, უკეთუ მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული დარღვევები არ იწვევენ სასამართლო პასუხისმგებლობას.

2. რკინიგზის ტრანსპორტზე ჯარიმები შეიძლება დადებულ იქნას შემდეგი დარღვევებისათვის:

ა) მატარებლის თვითნებურად გაჩერება, როდესაც ამას საჭიროება არ მოითხოვს, ისეთი საგნების დადება რკინიგზის ლიანდაგზე, რომლებსაც შეუძლიათ დაარღვიონ მატარებლების მოძრაობა, თვითნებური მგზავრობა სატვირთო მატარებლებით, ცეცხლის მხრივ საშიში, მომწამვლელი, ადვილად აალებადი, ფეთქებად და შხამიან ნივთიერებათა და საგნების ხელბარგად გადაზიდვის დადგენილი წესების დაუცველობა, რკინიგზის ლიანდაგებზე ავტოსაჰაპანო ტრანსპორტის გავლის, განსაკუთრებით მძიმე და უზარმაზარი ტვირთების გადაზიდვის და პირუტყვის გარეკის, აგრეთვე რკინიგზის ლიანდაგების მახლობლად პირუტყვის საბალახოდ გაშვების წესების დაუცველობა — 10 მანეთამდე;

მიწის ვაკისის, ლიანდაგის ნაგებობების, ტყესაცავი ნარგავებისა და თოვლსაცავი ზღუდეების დაზიანება, დაწესებული გაბარიტების

დაუცველობა ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვის წესების — 5 მანეთამდე;

ბიბლიოთეკა

რკინიგზის ლიანდაგებზე გავლა დაწესებული ადგილების გარეთ, მიმავალ მატარებელზე ასვლა და ჩამოსვლა, ვაგონის საფეხურებსა და სახურავებზე მგზავრობა — 2 მანეთამდე;

ბ) რკინიგზის ტრანსპორტზე შემოღებული სახანძრო უსაფრთხოების წესების, სანიტარულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური წესების შეუსრულებლობა — 10 მანეთამდე მოქალაქეებზე და 30 მანეთამდე თანამდებობის პირებზე;

გ) უბილეთოდ მგზავრობა საგარეუბნო მატარებლებით — 3 მანეთი, ადგილობრივი და შორეული სამგზავრო მატარებლებით: საერთო მაგარი ვაგონებით — 5 მანეთი, სხვა ვაგონებით — 7 მანეთი.

ამავე რაოდენობით დაედება ჯარიმა 10-დან 16 წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ მგზავრობისათვის.

5-დან 10 წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანისათვის ჯარიმები დაედებათ იმ ჯარიმის ერთი მეოთხედის რაოდენობით, რაც დაწესებულია მოზრდილი მგზავრის უბილეთოდ მგზავრობისათვის.

ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მგზავრს მგზავრობის ღირებულების გადახდისაგან;

დ) ზედმეტ ხელბარგის წაღება — 40 კაპიკი ყოველ 5 კილოგრამზე, მაგრამ არა უმეტეს 10 მანეთისა.

3. საზღვაო ტრანსპორტზე ჯარიმები შეიძლება დაედოს შემდეგი დარღვევებისათვის:

ა) ნავსადგურში გემების შესვლისა და ნავსადგურიდან მათი გასვლის დადგენილი წესების, ნავსადგურის წყლებში გემების მოძრაობის, დგომისა და ბუქსირების წესების, ნავსადგურში ტვირთის დატვირთვის, გადმოტვირთვისა და დაწყობის წესების დაუცველობისათვის, ისეთი წესების შეუსრულებლობისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მგზავრთა უსაფრთხობას გემებში ჩაჯდომის, მოგზაურობისა და გემებიდან გადმოსვლის დროს, ცეცხლის მხრივ საშიში, მომწამვლელი, ადვილად აალებადი, ფეთქებადი და შხამიანი ნივთიერებისა და საგნების ხელბარგად გადატანის წესების დაუცველობისათვის — 10 მანეთამდე; ნავსადგურის წყლებში სამყვინთაო სამუშაოების უნებართვოდ წარმოებისათვის, აგრეთვე ამ სამუშაოების დროს სიგნალების მიცემის წესების დაუცველობისათვის — 5 მანეთამდე.

ბ) საზღვაო ტრანსპორტზე შემოღებული სახანძრო უშიშროების წესების, სანიტარულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო და სანიტა-

რულ-ჰიგიენური წესების დაუცველობისათვის — 10 მანეთამდე მოქალაქეებზე და 30 მანეთამდე თანამდებობის პირებზე;

გ) უბილეთოდ მგზავრობისათვის საგარეუბნო ხაზების გემებით — 2 მანეთამდე, ადგილობრივი და შორეული ხაზების გემებით — 7 მანეთამდე.

ამავე ოდენობით დაედებათ ჯარიმები 10-დან 16 წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანისათვის.

5-დან 10 წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანისათვის ჯარიმები დაედებათ იმ ჯარიმის ერთი მეოთხედის რაოდენობით, რაც დაწესებულია მოზრდილი ადამიანის უბილეთოდ მგზავრობისათვის.

ჯარიმის გადაუხდელობა არ ათავისუფლებს მგზავრს მგზავრობის ღირებულების გადახდისაგან;

დ) ზედმეტი ხელბარგის წაღება — 40 კაპიკი ყოველ 5 კილოგრამზე, მაგრამ არა უმეტეს 10 მანეთისა.

4. საჰაერო ტრანსპორტზე ჯარიმები შეიძლება დაედოს შემდეგი დარღვევებისათვის:

ა) აეროდრომის საზღვრებიდან 10 კილომეტრამდე მანძილზე რაიმე ისეთი ნიშნების მოწყობა, რომლებიც არიან აეროდრომების გამოსაცნობად მიღებული სამარკირებო ნიშნების მსგავსი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს იმ მოთხოვნების შეუსრულებლობა, რომლებიც შეეხება იმას, რომ დაწესდეს დამტკიცებული წესების შესაბამისად, ღამის შუქოვანი და დღის სამარკირებო ნიშნები, აგრეთვე რადიოტექნიკური მოწყობილობანი მაღალ შენობებსა და ნაგებობებზე, რომლებიც მდებარეობენ აეროდრომების ტერიტორიებზე და საჰაერო ტრასების ფარგლებში, პიროტექნიკურ ნაკეთობათა დაწვა აეროპორტის, აეროდრომის ადმინისტრაციის ნებადაურთველად აეროდრომის საზღვრიდან 5 კილომეტრამდე მანძილზე — 10 მანეთამდე მოქალაქეებზე და 30 მანეთამდე თანამდებობის პირებზე.

აეროდრომის მოწყობილობის, სააეროდრომო ნიშნების, საჰაერო ხომალდებისა და მათი მოწყობილობის დაზიანება, აეროპორტების (გარდა აეროვაგზლებისა), აეროდრომების, ფრენის რადიო და შუქუზრუნველყოფის ობიექტების ტერიტორიაზე უნებართვოდ გავლა ფეხით ან ტრანსპორტით, ისეთი საგნებისა და ნივთიერებათა გადატანა ბარგის ან ხელბარგის სახით, რომელთა საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვა აკრძალულია, მომწამვლელი, ადვილად აალებადი

და სხვა საშიში საგნებისა და ნივთიერებათა, აგრეთვე კინოგადამღებები და ფოტოგრაფიული აპარატების, რადიოაპარატურისა და ყოგრების ბარგის ან ხელბარგის სახით გადატანის დაწესებული პირობების დაუცველობა, აგრეთვე სატვირთო ზედნადებში ტვირთის დასახელების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მისი განსაკუთრებული თვისებების არასწორად აღნიშვნა, საჰაერო ხომალდიდან ფოტოგადაღების, კინოგადაღებისა და რადიოკავშირის საშუალებათა სარგებლობის წესების დაუცველობა, საჰაერო ხომალდზე მყოფ პირთა მიერ ხომალდის მეთაურის განკარგულების შეუსრულებლობა, საჰაერო ხომალდის მეთაურის მოქმედებასა და განკარგულებაში ჩარევა — 10 მანეთამდე;

ბ) საჰაერო ტრანსპორტზე შემოღებული სახანძრო უშიშროების წესების, სანიტარულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური წესების შეუსრულებლობა — 10 მანეთამდე მოქალაქეებზე და 30 მანეთამდე — თანამდებობის პირებზე;

გ) უბილეთოდ მგზავრობა ადგილობრივი საჰაერო ხაზების საჰაერო ხომალდებით — 5 მანეთამდე, საკავშირო მნიშვნელობის ხაზების საჰაერო ხომალდებით — 10 მანეთამდე.

ამავე რაოდენობით დაედება ჯარიმები 10-დან 16 წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ მგზავრობისათვის.

5-დან 10 წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანისათვის ჯარიმები დაედებათ იმ ჯარიმის ერთი მეოთხედის ოდენობით, რაც დაწესებულია მოზრდილი ადამიანის უბილეთოდ მგზავრობისათვის.

ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მგზავრს მგზავრობის ღირებულების გადახდისაგან.

5. ამ დადგენილებაში აღნიშნული დარღვევებისათვის ჯარიმებს დაადებენ:

ა) რკინიგზის ტრანსპორტზე — სამგზავრო მატარებლის უფროსი (მექანიკოსი — გამყოლთა ბრიგადირი), სატვირთო მატარებლის მთავარი კონდუქტორი, სადგურის უფროსი, მატარებლების რევიზორი, გზის ოსტატი, გუნდის ჯგუფის უფროსი, გზათა სამინისტროს გასამხედროებული დაცვის უბნის სახანძრო ინსპექტორი, რკინიგზის ტრანსპორტის მთავარი სანიტარული ექიმი, რკინიგზის უფროსი სანიტარული ექიმი, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის უფროსი, აგრეთვე მილიციის ორგანოების მუშაკები;

ბ) საზღვაო ტრანსპორტზე -- ნავსადგურის კაპიტანი, სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექტორი, საზღვაო ვაგზლის უფროსი, გემის კაპიტანი, საზღვაო ფლოტის სამინისტროს გასამხედროე-

ბული დაცვის უფროსი თანამდებობის პირი ნავსადგურის მესაზღვრეობის ადგილზე (რაზმის, დივიზიონის, ოცეულის მეთაური, [illegible] სახანძრო ინსტრუქტორი), მილიციის ორგანოების მუშაკები, აგრეთვე სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მუშაკები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) საჰაერო ტრანსპორტზე — სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თანამდებობის პირები სსრ კავშირის საჰაერო კოდექსის შესაბამისად. აგრეთვე სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მუშაკები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნულ თანამდებობის პირებს ჯარიმების დადება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას და მხოლოდ იმ წესების დარღვევისათვის. რომელთა დაცვისადმი ზედამხედველობა დაკისრებული აქვთ მათ.

6. სადგურებში, ვაგზლებში, მატარებლებში, ნავსადგურებში, საზღვაო ვაგზლებში და გემებზე, აეროპორტებში, აეროდრომებზე და საჰაერო ხომალდებზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ჯარიმების დადება შეუძლიათ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად მილიციის ორგანოების მუშაკებს, აგრეთვე შესაბამისად სადგურების უფროსებს ან სამგზავრო მატარებლების უფროსებს (მექანიკოსებს — გამყოლთა ბრიგადირებს), საზღვაო ვაგზლების უფროსებს, გემების კაპიტნებს, აეროპორტების უფროსებს ან ავიარაზმების მეთაურებს.

7. ამ დადგენილებით გათვალისწინებული დარღვევებისათვის ჯარიმები შეიძლება გადახდევინებულ იქნას ადგილზე.

8. ყოველი დარღვევის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯარიმის გადახდევინება ადგილზე ხდება. უნდა შედგეს ოქმი (აქტი). რომელშიაც აღინიშნება დამრღვევის ვინაობა, დარღვევის ხასიათი, ადგილი და დრო, აგრეთვე მოწმეები. თუ ასეთები არიან.

უკეთუ დამრღვევს არ აღმოაჩნდება პირადობის დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მისცენ დამრღვევის შესახებ საჭირო ცნობები, იგი შეიძლება მიყვანილ იქნას მილიციის განყოფილებაში (პუნქტში) ვინაობის გამოსარკვევად და ოქმის (აქტის) შესადგენად.

9. ჯარიმების დადება და გადახდევინება, აგრეთვე ამ დადგენილებით გათვალისწინებული ჯარიმების დადების შესახებ გამოტანი-

ლი დადგენილებების გასაჩივრება წარმოებს შესაბამისად [illegible] შირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 [illegible] ნებულებისა „იმ ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ, რომელთა დადება ადმინისტრაციული წესით წარმოებს“, ხოლო საჰაერო ტრანსპორტზე — სსრ კავშირის საჰაერო კოდექსის შესაბამისადაც.

10. სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მუშაკები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მათ მიერ ისეთი დარღვევების დაშვებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მიცემული იქნებიან დისციპლინარულ პასუხისგებაში.

11. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1931 წლის 28 დეკემბრის № 1179 დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 1, მუხ. 5);

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 4 მაისის № 628 დადგენილება „რკინიგზებზე უბილეთოდ მგზავრობისა და ზედმეტი ხელბარგის წაღებისათვის ჯარიმების ოდენობის და სამგზავრო სიჩქარით ტვირთის გადაზიდვისათვის ტარიფის გადიდების შესახებ“ (გარდა მე-3 მუხლისა);

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 23 სექტემბრის № 1030 დადგენილება „რკინიგზებზე უბილეთოდ მგზავრობისათვის ჯარიმის ოდენობის შესახებ“.

მუხლი 2 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 მაისის № 6684 განკარგულებისა იმ უფლებების ნაწილში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 21 ნოემბრის № 5272 დადგენილების მე-10 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით.

„რკინიგზის ლიანდაგების გადასასვლელებზე მატარებლებისა და ავტოსაჭაპანო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 აგვისტოს № 2130 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი აბზაცი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

**51 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 1291 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ**

„სსრ კავშირის მთავრობის მიერ კავშირგაბმულობის საკითხებზე მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 1291 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 1 აგვისტოს № 1515 დადგენილება „სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის საცნობარო-საინფორმაციო სამსახურის საქალაქო საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ“ (საქართველოს სსრ დადგ. კრ., 1940 წ. № 20, მუხ. 81).

2. მუხ. 8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 17 მაისის № 514 დადგენილებისა „1949 წლისათვის ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ“.

3. მუხლი 9 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 23 მაისის № 635 დადგენილებისა „1950 წლისათვის ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 15 მაისის № 568 დადგენილება „1951-1952 სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის მიმდინარეობის შესახებ.“

5. „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ტელეფონიზაციის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 9 დეკემბრის № 1633 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „გ“ და მე-4 მუხლის ქვეპუნქტი „ა“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 თებერვლის № 119 დადგენილება „1954-1955 სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის უზრუნველყოფის ზომების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 მარტის № 81 დადგენილება „1955 წელს სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის უზრუნველყოფის ზომების შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 მარტის № 136 დადგენილება „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამი-

ნისტროს სტრუქტურისა და შტატის დამტკიცების შესახებ ბიბლიოთეკა
დადგენილების დანართები №№ 1 და 2.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. **მირაშაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 27 თებერვალი, № 134

## 52 რესპუბლიკაში გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" ქსელის დამტკიცების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომსახურება, აგრეთვე უკეთ იქნას კოორდინირებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებთან ძირეული ორგანოების მუშაობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, სამანქანო-სამელიორაციო სადგურების ძირეული ქსელის რაოდენობა, სანიმუშო სტრუქტურა და შტატები, შეთანხმებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკასთან", №№ 1, 2, 3, 4, 5, და 6 დანართების თანახმად.

2. დაეკისროთ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" რაიონულ გაერთიანებებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებასთან ერთად, საწარმოო სამმართველოებთან შეთანხმებით, შესაბამის რაიონულ განყოფილებებში შემავალ სამუშაოთა კოორდინაცია, უმთავრესად იმ ნაწილში, რომელიც ფონდირებული დეფიციტური საქონლის განაწილებას შეეხება.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარეს ამხ.

ი. მ. ხოხლოვს ყოველ ცალკე შემთხვევაში და საჭიროების დროს, საწარმოო სამმართველოებთან შეთანხმებით, დააკისროს რაიონულ განყოფილებებს ვაჭრობის ფუნქციები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 2 მარტი, № 148

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 მარტის № 148
დადგენილების დანართი № 1

## ს ი ა

### „საქსოფლტექნიკის" ასსრ, საოლქო და რაიონული გაერთიანებებისა

| | | | |
|---|---|---|---|
| აფხაზსოფლტექნიკა | | ზესტაფონის | გაერთიანება |
| აჭარსოფლტექნიკა | | მახარაძის | " |
| სამხრეთ ოსეთის სოფლტექნიკა | | ამბროლაურის | " |
| თეთრიწყაროს | გაერთიანება | ლენინგორის | " |
| თელავის | " | ჩაქვის | " |
| დუშეთის | " | ოჩამჩირის | " |
| გურჯაანის | " | გუდაუთის | " |
| ყვარლის | " | გარდაბნის | " |
| სიღნაღის | " | მაიაკოვსკის | " |
| გორის | " | ზნაურის | " |
| ბოლნისის | " | ლანჩხუთის | " |
| ახალქალაქის | " | ზუგდიდის | " |
| ახალციხის | " | წყალტუბოს | " |
| ხაშურის | " | გალის | " |
| სამტრედიის | " | გეგეჭკორის | " |
| საჩხერის | " | ცხაკაიას | " |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 მარტის № 148
დადგენილების დანართი № 2

## ს ი ა

### „საქსოფლტექნიკის" განყოფილებებისა

| | |
|---|---|
| წალკის | თიანეთის |
| ახმეტის | კასპის |
| ვანის | საგარეჯოს |
| მცხეთის | ლაგოდეხის |
| | წითელწყაროს |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 მარტის № 148
დადგენილების დანართი № 3

## ს ი ა

### „საქსოფლტექნიკის“ სამანქანო-სამელიორაციო სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა

| | |
|---|---|
| თერჯოლის | ხობის |
| ცხინვალის | სოხუმის |
| მარნეულის | აგარის |
| სართიჭალის | მეცხოველეობის სამანქანო სადგური |
| იბაშის | ჩრდილოეთ კავკასიაში |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 მარტის № 148
დადგენილების დანართი № 4

## ს ი ა

### „საქსოფლტექნიკის“ სავაჭრო-შესაზიდი ბაზებისა

| | |
|---|---|
| თბილისის | ქუთაისის |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 მარტის № 148
დადგენილების დანართი № 5

# სანიმუშო საშტატო განრიგი

## „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებებისათვის

| თანამდებობანი | საშტატო ერთეულები: რაიონული გაერთიანება | საშტატო ერთეულები: განყოფილება |
|---|---|---|
| **სარეგისტრაციო პერსონალი** | | |
| რაიონული გაერთიანების მმართველი (განყოფილების მმართველი) . . . . . . . . . . | 1 | 1 |
| გაერთიანების მმართველის მოადგილე დაგეგმვისა და ვაჭრობის დარგში (სავაჭრო კანტორის დირექტორი) | 1 | — |
| მეურნეობის გამგე — სახანძრო სადარაჯო დაცვის უფროსი . . . . . . . . . . | 1 | 1 |
| ინჟინერი მექანიზატორთა კადრების დარგში . . | 1 | 1 |
| მდივანი-მემანქანე . . . . . . . . . | 1 | 1 |
| მიკრიკი-დამლაგებელი . . . . . . . . | 1 | 1 |
| სულ . . . . . | 6 | 5 |
| **საწარმოო-ტექნიკური განყოფილება** | | |
| მთავარი ინჟინერი — რაიონული გაერთიანების მმართველის (განყოფილების მმართველის) მოადგილე . | 1 | 1 |
| უფროსი ინჟინერი ექსპლუატაციისა და რემონტის დარგში . . . . . . . . . . | 1 | — |
| ინჟინერი ახალი ტექნიკის ხაზით . . . . . | 1 | — |
| უფროსი ეკონომისტი . . . . . . . . | 1 | 1 |
| ეკონომისტი . . . . . . . . . . | 1 | — |
| სულ . . . . . | 5 | 2 |
| **მანქანა-ტრაქტორთა პარკის მდგომარეობისადმი სახელმწიფო, ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია** | | |
| უფროსი ინჟინერ-ინსპექტორი . . . . . | 1 | — |
| ინჟინერ-ინსპექტორი . . . . . . . | 1 | 1 |
| სულ . . . . . | 2 | 1 |
| ინჟინერი სათბობისა და ნავთობმეურნეობის დარგში | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| თანამდებობანი | საშტატო ერთეულები: რაიონული გაერთიანება | საშტატო ერთეულები: განყოფილება |
|---|---|---|
| **სავაჭრო კანტორა ბაზებითა და საწყობებით** | | |
| უფროსი ინჟინერი | 1 | 1 |
| საწყობის გამგე | 1—3 | 1—2 |
| საქონელმცოდნე | 1—2 | — |
| ტვირთების გამყოლი ექსპედიტორი | 1 | 1 |
| აგრონომი მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების დარგში | 1 | — |
| სულ | 5—8 | 3—4 |
| **ბუღალტერია** | | |
| მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი მთავარი ბუღალტრის უფლებებით) | 1 | 1 |
| მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 | — |
| უფროსი ბუღალტერი | 2 | 1 |
| ბუღალტერი | 3 | 1 |
| მოანგარიშე-მოლარე | 1 | 1 |
| სარემონტო სახელოსნოს ბუღალტერი | 1 | 1 |
| სულ | 9 | 5 |
| სულ სარეგისტრაციო პერსონალი | 28—31 | 17—18 |
| **საწარმოო პერსონალი** | | |
| (დაწესდება შრომის გეგმის მოცულობის მიხედვით) | | |
| **სარემონტო სახელოსნო** | | |
| სახელოსნოს გამგე | 1—3 | 1—3 |
| ინჟინერ-მექანიკოს — კონტროლიორი | 1—3 | 1—3 |
| ტექნიკური დანორმვის ინჟინერი | 1—3 | — |
| სულ | 3—9 | 2—6 |
| **მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია** | | |
| უფროსი ინჟინერი ფერმების მექანიზაციის ხაზით | 1 | — |
| ინჟინერი ფერმების მექანიზაციის ხაზით | — | 1 |
| უფროსი მშენებელ-ინჟინერი | 1 | — |
| ინჟინერ-ელექტრიკოსი | 1 | 1 |
| მოძრავი სახელოსნოს მექანიკოსი | 1 | 1 |
| სულ | 4 | 3 |

ეროვნული

| თანამდებობანი | საშტატო ერთეულები | |
|---|---|---|
| | რაიონული გაერთიანება | განყოფი-ლება |
| **ავტობაზა (ავტოკოლონა, ავტოგარაჟი)** | | |
| გარაჟის გამგე | 1 | 1 |
| უფროსი მექანიკოსი | 1 | 1 |
| უფროსი დისპეტჩერი | 1 | — |
| ს უ ლ | 3 | 2 |

**შენიშვნა:** 1. ჩამოთვლილ თანამდებობათა გარდა რაიონულ გაერთიანებისა და განყოფილების შტატში სამუშაოთა მოცულობის მიხედვით შეიძლება შემოღებულ იქნას დამატებითი თანამდებობანი:

ა) ინჟინერ-მექანიზატორისა ტექნიკური მომსახურების საუბნო სადგურების რაოდენობის მიხედვით

ბ) ინჟინერ-მექანიზატორი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის ხაზით, თუ საამისო გეგმა არსებობს;

გ) მეკუპჩნავე, საანგარიშო დარგის და სხვა მუშაკები.

აღნიშნული თანამდებობანი შემოღებულ იქნება რაიონული გაერთიანებისა და განყოფილებებისათვის დაწესებულ მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

2. რაიონული გაერთიანებისა და განყოფილების საშტატო განრიგს დაამტკიცებს შესაბამისად რაიონული გაერთიანების ან განყოფილების მმართველი, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაწესებული რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომლის დროს იხელმძღვანელებს ტიპიური შტატებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 მარტის № 148
დადგენილების დანართი № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სანიმუშო სტრუქტურა

### და შტატები სამანქანო-სამელიორაციო სადგურისა (გარდა ვაჭრობის ფუნქციებისა)

| თანამდებობანი | მუშაკთა რაოდენობა სამუშაოს მოცულობის მიხედვით I ჯგუფი | II ჯგუფი |
|---|---|---|
| დირექტორი | 1 | 1 |
| მთავარი ინჟინერი — დირექტორის მოადგილე | 1 | 1 |
| მთავარი ინჟინერ-მელიორატორი | 1 | 1 |
| უფროსი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი | 1 | — |
| უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი | 1 | — |
| ინჟინერ-მექანიკოსი | 1 | 1 |
| უფროსი ინჟინერი | 1 | 1 |
| უფროსი ინჟინერ-მშენებელი | 1 | 1 |
| უფროსი ეკონომისტი | 1 | — |
| უფროსი აგრონომი | 1 | 1 |
| მთავარი ბუღალტერი | 1 | 1 |
| მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 | 1 |
| ბუღალტერი | 1 | 1 |
| მოლარე-მოანგარიშე | 1 | 1 |
| მდივანი-მემანქანე | 1 | 1 |
| მეურნეობის გამგე სახანძრო-სადარაჯო დაცვის უფროსი | 1 | 1 |
| საწყობის გამგე | 1 | 1 |
| მეკუჰნავე | 2 | 1 |
| შიკრიკი დამლაგებელი | 1 | 1 |
| სულ | 20 | 16 |
| **სარემონტო სახელოსნო** | | |
| სახელოსნოს გამგე | 1 | 1 |
| ინჟინერ-მექანიკოს — კონტროლიორი | 1 | 1 |
| ტექნიკოს-ნორმადარი | 1 | 1 |
| ბუღალტერი | 1 | 1 |
| სულ | 4 | 4 |
| მთლიად | 24 | 20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ჩამოთვლილ თანამდებობათა გარდა სამანქანო-სამელიორაციო სადგურის შტატში სამუშაოთა მოცულობის მიხედვით შეიძლება შემოღებულ იქნას დამატებით თანამდებობანი:

ა) ინჟინერ-მექანიკოსისა ტექნიკური მომსახურების სადგურების რაოდენობის მიხედვით;

ბ) ინჟინერ-მექანიკოსისა მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის ხაზით, თუ საამისო გეგმა არსებობს;

გ) მეკუპნავეებისა

აღნიშნული თანამდებობანი შემოღებულ იქნება სამანქანო-სამელიორაციო სადგურებისათვის დაწესებულ მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

2. „საქსოფლტექნიკის“ სამანქანო-სამელიორაციო სადგურის საშტატო განრიგს დაამტკიცებს სამანქანო-სამელიორაციო სადგურის დირექტორი, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაწესებული რაოდენობის და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომლის დროსაც იხელმძღვანელებს ტიპური შტატებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 53 სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების, დაავადებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების, დაავადებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარების მიუხედავად, რიგ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებსა და სხვა მეურნეობებში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დიდ დანაკარგებს.

ცუდად არის დაყენებული მეურნეობებში მცენარეთა დაცვის, აპარატურისა და შხამ-ქიმიკატების მოვლა-პატრონობისა და გამოყენების საქმე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო არასაკმარისად აწარმოებს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას ტყეებში, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება ბაღებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნარგავებსა და ნათესებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) ჩამოაყალიბოს 1963—1964 წლებში მანქანა-მელიორაციულ სადგურებთან, სარაიონო და სარაიონთაშორისო განყოფილებებთან სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი 12 მუდმივი რაზმი, № 1 დანართის თანახმად, და 1963—1964 წლებში აღჭურვოს ისინი საჭირო ტრაქტორებით, აპარატურით, სპეციალური ავტომანქანებითა და სხვა საშუალებებით, № 2 დანართის თანახმად.

ბ) აწარმოოს თავის სახელოსნოებში სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ყველა სახეობის აპარატურის რემონტი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს 1963 წლის კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებიდან გადასცეს 400 ათასი მანეთი რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ მებრძოლი 12 რაზმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დასაკომპლექტებლად.

ეროვნული

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან შეთანხმებით, აწარმოოს მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან მებრძოლი რაზმების საჭირო რაოდენობის ტექნიკით აღჭურვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ფონდების ანგარიშში.

4. მცენარეთა დაცვის რაზმები პირველ რიგში ახორციელებენ ქიმიური მეთოდით ბრძოლას იმ მასობრივ მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ, რომელთა მიმართ ბრძოლის ჩატარება გათვალისწინებულია სახელმწიფო ხარჯზე. გარდა ამისა, მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის სამუშაოებს აწარმოებენ მეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

5. დაწესდეს, რომ ადგილებზე თვითეულ მუდმივ რაზმს უნდა ხელმძღვანელობდეს მცენარეთა დაცვის სპეციალისტი (რაზმის უფროსი), ამ მიზნით გადაეცეს „საქსოფლტექნიკას“ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროდან ღონისძიებებზე მომუშავე 12 ერთეული სათანადო ხელფასის ფონდით.

6. დაეკისროთ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარებისათვის პირადი პასუხისმგებლობა:

ა) საბჭოთა მეურნეობების ფართობებზე და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრებთა საკარმიდამო ნაკვეთებზე — საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს;

ბ) კოლმეურნეობების ფართობებზე და კოლმეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრებ კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და სხვა პირთა საკარმიდამო ნაკვეთებზე — კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს;

გ) სატყეო მეურნეობებში — სატყეო მეურნეობების დირექტორებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

დ) რკინიგზებისა და გზატკეცილების განსხვისების ზოლებზე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და სხვა პირთა პირად სარგებლობაში მყოფი ნარგავების წამლობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება დაეკისროთ ამ ნარგავების მფლობელებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 4 მარტი, № 152

[library stamp]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 4 მარტის № 152
დადგენილების დანართი № 1

## ს ი ა

„საქსოფლტექნიკის“ მანქანა-მელიორაციულ სადგურებთან, სარაიონო და სარაიონთაშორისო განყოფილებებთან სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი მუდმივი რაზმებისა

| | |
|---|---|
| 1. გორის | გორის მმს-თან |
| 2. ცხინვალის | ცხინვალის მმს-თან |
| 3. ლენინგორის | ლენინგორის რაიონულ განყოფილებასთან |
| 4. სოხუმის | სოხუმის მმს-თან |
| 5. ხაშურის | ხაშურის მმს-თან |
| 6. ახალციხის | ახალციხის მმს-თან |
| 7. ოზამჩირის | ოჩამჩირის მმს-თან |
| 8. ქობულეთის | ქობულეთის სარაიონთაშორისო განყოფილებასთან |
| 9. მახარაძის | მახარაძის „ „ |
| 10. გუდაუთის | გუდაუთის „ „ |
| 11. ცხაკაიას | ცხაკაიას „ „ |
| 12. ზუგდიდის | ზუგდიდის „ „ |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 4 მარტის № 152
დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებასთან მებრძოლი რაზმების მუშაობის საორიენტაციო გეგმა და ტექნიკური ალჭურვილობა

| რაზმების დასახელება | დასამუშავებელია სახელმწიფო ხარჯზე | | | დასამუშავებელია სამეურნეო ანგარიშზე ხელშეკრულებით | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კალიფორნიის ფარიანას წინააღმდეგ ბრძოლა ხეხილის ბაღებში (ჰექტარობით) | ვაშლის მინაფრთიანას წინააღმდეგ ბრძოლა ხეხილის ბაღებში (ჰექტ.) | იაპონური ჩხირისებრი ფარიანას წინააღმდეგ ბრძოლა ციტრუსების ნარგავებში (ჰექტ.) | იაპონური ჩხირისებრ ფარიანას და ფრთათეთრასთან ბრძოლა ციტრუსებსა და სხვა ნარგავებში (ჰექტ.) | ხეხილის ბაღის ხუთჯერადი წამლობა (ჰექტ.) | ციტრუსების სამჯერადი წამლობა (ჰექტ.) | ჩაის პლანტაციების ფუმიგაცია (ჰექტ.) | |
| | | | | | | | მექანიზებული | ხელით |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1. გორის | 2000 | 1500 | — | — | 800 | — | — | — |
| 2. ხაშურის | 600 | 200 | — | — | 200 | — | — | — |
| 3. ცხინვალის | 500 | 100 | — | — | 250 | — | — | — |
| 4. ლენინგორის | 250 | 180 | — | — | 200 | — | — | — |
| 5. სოხუმის | 150 | — | 100 | — | 100 | 70 | 50 | 50 |
| 6. ოჩამჩირის | 100 | — | 100 | — | 50 | 50 | 250 | 700 |
| 7. გუდაუთის | 150 | — | 150 | — | 50 | 50 | 60 | 70 |
| 8. ახალციხის | 250 | 100 | — | — | 250 | — | — | — |
| 9. ქობულეთის | — | — | — | 200 | — | 100 | 200 | 600 |
| 10. მახარაძის | — | — | — | 200 | 100 | 50 | 500 | 600 |
| 11. ცხაკაიას | — | — | — | 60 | — | — | 250 | 500 |
| 12. ზუგდიდის | — | — | — | 50 | — | 100 | 600 | 700 |
| ს უ ლ | 4000 | 2080 | 350 | 510 | 1800 | 420 | 1910 | 3120 |

| რაზმების დასახელება | საჭიროა რაზმებისათვის | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტრაქტორი ტ-38 | ტრაქტორი დტ-20 | საწველი აპარატი „თევზი" | საწველი აპარატი თნკ-3 | ჩაის ფოთლსაკრეფი ფსმ-2 | თვითმავალი შასი ფოთლსაკრეფისათვის დშმ-16 | სატუმბავი კარავი ცალ. 6×45 | სატუმბავი კარავი ცალ. 7×15 | საპარსი ელექტრო მანქანა მპმ-51 | ელექტრომძრავი ... არა აქვს 2,6—3 კვტ. |
| 1 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| 1. გორის | 8 | 2 | 10 | 3 | — | — | — | — | 1 | 2 |
| 2. ხაშურის | 3 | 1 | 4 | 2 | — | — | — | — | 1 | 1 |
| 3. ცხინვალის | 3 | 1 | 4 | 2 | — | — | — | — | 1 | 1 |
| 4. ლენინგორის | 1 | 2 | 1 | 3 | — | — | — | — | 1 | 1 |
| 5. სოხუმის | 1 | 2 | 1 | 3 | — | — | — | — | 1 | 1 |
| 6. ოჩამჩირის | 2 | 3 | 2 | 3 | — | — | — | — | 1 | 1 |
| 7. გუდაუთის | 1 | 3 | 1 | 4 | 2 | 2 | 2 | 30 | 1 | 1 |
| 8. ახალციხის | 1 | 3 | 1 | 4 | 2 | 2 | 2 | 30 | 1 | 1 |
| 9. ქობულეთის | 1 | 3 | 1 | 4 | 3 | 3 | 3 | 150 | 1 | 1 |
| 10. მახარაძის | 1 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 60 | 1 | 1 |
| 11. ცხაკაიას | 1 | 3 | 1 | 4 | 2 | 2 | 2 | 100 | 1 | 1 |
| 12. ზუგდიდის | 1 | 5 | 1 | 5 | 4 | 4 | 4 | 200 | 1 | 1 |
| ს უ ლ | 21 | 30 | 28 | 36 | 14 | 14 | 14 | 570 | 12 | 13 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**



შეკ. 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 54 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 დეკემბრის 839 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმ მრავალრიცხოვან საჩივრებთან დაკავშირებით, რომლებიც ბაკურიანის სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისაგან შემოდის მათი სახლების ავარიული მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან ბაკურიანში აკრძალულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აღდგენის, გაფართოებისა და გადაკეთების სამუშაოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„დაბა ბაკურიანის დაგეგმვის პროექტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 დეკემბრის № 839 დადგენილების მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, ნება დაერთოს ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს აძლიოს ბაკურიანის სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწევიან, იმის ნებართვა, რომ აწარმოონ საკუთარი ძალებით ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შემდეგი სამუშაოები: ავარიული სახლების აღება და მათ ნაცვლად ახალი სახლების აშენება ტიპური პროექტების მიხედვით იმავე ნაკვეთებზე, აგრეთვე ახალი სახლების აშენება, დაშენება იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილი იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 დეკემბრის № 839 დადგენილების მიღებამდე და რომლებზედაც არ ყოფილა განხორციელებული მშენებლობა, საცხოვრებელი ფართობის გადიდებით იმ ანგარიშით, რომ საერთო საცხოვრებელი ფართობი არ აღემატებოდეს 60 კვ. მეტრს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 8 მარტი, № 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**55 ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის ვალერიან გუნიას სახელის მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიეკუთვნოს ფოთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს გამოჩენილი ქართველი მწერლის, მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის ვალერიან გუნიას სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 27 მარტი, № 200.

**56 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 16 ოქტომბრის № 652 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტის მოქმედების 1963 წლისათვის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 მარტის № 302 დადგენილების შესაბამისად, გაგრძელდეს 1963 წლისათვის მოქმედება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 16 ოქტომბრის № 652 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტისა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება იმას, რომ ჩამოიწეროს ჯართად საწარმოო მნიშვნელობადაკარგული და სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად გამოუსადეგარი ლითონქონება, რაც დაუმთავრებელი წარმოების შემადგენლობაში ირიცხება, ნახევარფაბრიკატები, აღჭურვილობა და ინსტრუმენტი ისე, რომ ამ ჩამოწერასთან დაკავშირებით მიღებული ზარალი მიეკუთვნოს საწესდებო ფონდის შემცირებას და იმავდროულად შემცირდეს შესაბამისი თანხის ოდენობით საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 მარტის № 302 დადგენილებით დაევალა სსრ კავ-

შირის სახალხო მეურნეობის საბჭოს და სსრ კავშირის ფინანსთა სა-
მინისტროს შეიმუშაონ, დაამტკიცონ და სამოქმედოდ შემოიღონ
1964 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული ლითონქონების ჯართად ჩამო-
წერის წესი.

3. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 16 ოქტომბრის № 652 დადგენილების 1 მუხლის „ა" ქვეპუნქტის პირველ აბზაცს შემდეგი ტექსტი: „აღნიშნული ლითონქონების ჩამოწერა ჯართად მოხდეს ზემდგომი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ დამტკიცებული აქტებით".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 27 მარტი, № 203.

## 57 მეთესლეობის კოლმეურნეობათა სიაში და ჯიშიანი თესლის წარმოების 1963-1965 წლების გეგმებში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ახალციხის, ჩაქვის, ამბროლაურისა და ხაშურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების შუამდგომლობანი და მეთესლეობის კოლმეურნეობათა სიაში და ჯიშიანი თესლის წარმოების 1963-1965 წლების გეგმებში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი:

1. ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ უდეს კოლმეურნეობის ნაცვლად, მარცვლეული კულტურების მეთესლეობის მეურნეობად დამტკიცდეს ამავე სამმართველოს სოფელ ბოლაჯურის კოლმეურნეობა, რომელსაც 1963-1965 წლებში ყოველწლიურად დაუწესდეს 400 ცენტნერი ჰიბრიდული და 300 ცენტნერი პირველი რეპროდუქციის სიმინდის თესლის რეალიზაციის დავალება.

2. ჩაქვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველოს სოფელ ანგისის კოლმეურნეობის ნაცვლად, მარცვლეუ-

ლი კულტურების მეთესლეობის მეურნეობებად დამტკიცდეს ამავე სამმართველოს სოფელ ალამბრისა და სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობები, რომლებსაც 1963-1965 წლებში ყოველწლიურად თვითეულს მიეცეს 200 ცენტნერი პირველი რეპროდუქციის სიმინდისა და 80 ცენტნერი სოიის თესლის რეალიზაციის დავალება.

3. ამბროლაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ შქმერის მეთესლეობის კოლმეურნეობას მოეხსნას 1963-1965 წლებში 80 ცენტნერი ლობიოს თესლის რეალიზაციის გეგმა, ხოლო ხაშურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფ. ყვიბისის მეთესლეობის კოლმეურნეობას შეუმცირდეს 1963-1965 წლებში ყოველწლიურად ბოსტნეული კულტურების თესლის რეალიზაციის გეგმა 12,5 ცენტნერამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 27 მარტი, № 206

**58 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილების მე-10, მე-11, და მე-12 მუხლების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმის გამო, რომ რაიაღმასკომებში მომუშავე მიწათმომწყობები გადაყვანილი არიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილებით საწარმოო სამმართველოებთან შექმნილი სამიწათმომწყობო სამსახურის სამმართველოებში დატოვება მიზანშეუწონელია, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილებით „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან ნიადაგობრივ-აგროქიმიური ლაბორატორიებისა და მიწათმოწყობის სამსახუ-

ეროვნული

რის ორგანიზაციის შესახებ“ მე-10, მე-11 და მე-12 მუხ[illegible] წარმოო სამმართველოებთან არსებული სამიწათმომწყობო სამსახურის მიწათმომწყობთა კადრები გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტს — „საქსახმიწპროექტს“.

2. შესრულებულ სამიწათმომწყობო სამუშაოების ანაზღაურება მოხდეს საქართველოს სახელმწიფო მიწთამოწყობის საპროექტო ინსტიტუტის მეშვეობით, მის მიერ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა ორგანიზაციებთან ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოებიდან მიღებულ სახსრების ხარჯზე და აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსათვის მიწათმოწყობის სამუშაოებისათვის გამოყოფილ თანხების ხარჯზე, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 29 მარტი, № 214

## 59 ბორჯომის ხეობიდან ავტოტრანსპორტით ხე-ტყის გამოზიდვის აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ბორჯომის, ბაკურიანის, ახალციხის და აბასთუმნის სატყეო მეურნეობების, აგრეთვე ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტყეების ფარგლებს გარეთ ხე-ტყის გამოზიდვას მომხმარებლები ხშირ შემთხვევაში აწარმოებენ ავტოტრანსპორტის საშუალებით.

ამ ტყეებიდან ავტოტრანსპორტით ხე-ტყის ზიდვა ხაშურის, ახალქალაქის, მაიაკოვსკის და ხულოს მიმართულებით აძნელებს კონტროლს ხე-ტყის კანონიერ მიღებაზე ოდენობასა და სისწორეზე, რის გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული

1. აეკრძალოს უკლებლივ ხე-ტყის ყველა მომხმარებელს ბორ-ჯომის ხეობის ტყეებს გარეთ ავტოტრანსპორტით ხე-ტყის გაზიდვა და ასეთი აწარმოონ მხოლოდ რკინიგზის საშუალებით.

2. ბორჯომის, ბაკურიანის, ახალციხის და აბასთუმნის სატყეო მეურნეობების, აგრეთვე ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის მიერ დამზადებული ხე-ტყე მიეცეს მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და აიკრძალოს მისი გაცემა სხვა მომხმარებლებზე.

3. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გამოუყოს ვაგონები ხე-ტყის იმ მომხმარებლებს, რომლებსაც ხე-ტყე გააქვთ ბორჯომის ხეობის გარეთ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიების შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 21 მარტი, № 240.

ინდექსი — 76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

თარგმნილია რუსულიდან. ტირაჟი 1500 შეკვეთა № 485